



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 848



ქ.ფოთი

„13“ ნოემბერი 2017წ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებისა და საბჭოს პირველი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს - საბჭოებს და სამუშაო ჯგუფებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 13 ნოემბრის N847 ბრძანებით შეიქმნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და დამტკიცდა საბჭოს დებულება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. ამ კანონის შესაბამისად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია თავად დააკომპლექტოს საბჭოს შემადგენლობა, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი. ამავე დებულების მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საბჭოს პირველ სხდომას საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში იწვევს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.

გამომდინარე აღნიშნულიდან ვბრძანებ:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- 1) ილია ქვარცხავა
- 2) გიგლა გვიჩია
- 3) ზაზა სიჭინავა
- 4) ლოლიტა ბაბილუა
- 5) კახა ლატარია
- 6) დავით პაქკორია
- 7) თმარ ხუხუნი
- 8) ირაიდა ფაცია
- 9) ვერა ლალიძე
- 10) ინგა გვასალია

მუხლი 2.


საბჭოს პირველი სხდომა მოწვეულ იქნეს 2017 წლის 16 ნოემბერს 17 საათზე. სხდომის დანიშვნის შესახებ ეცნობოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 22 დეკემბრის N970 ბრძანება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებისა და საბჭოს პირველი სხდომის მოწვევის შესახებ“.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი  გოჩა კურდელია

ბრძანება ეგზავნება: საქმისწარმოების განყოფილებას, ბრძანების პირველ მუხლში მითითებულ პირებს

იურიდიული განყოფილება 